მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვის დასდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 9 **1883-1892** 15 მაისს.

შინაარსი. სალიტერატურო განყოფილება: გვაქვს და მოხმარება არ ვიცით.—მეცნიერების შესახებ.—დაგვიანებული პასუხი.—ანდრია პირველ-წოდებული (ისტორიული პოემა).—ახალი ამბები და შენიშვნები.—ქრისტიანე ადამიანი სხვა-და-სხვა ჰასაკის დროს.

სახელმძღვანელო და საყურადღებო ცნობათა განყოფილება: კეთილ-წესიერება ტაძარში.—დარიგება მხედველობის შენახვასა და თვალების მოვლაზე.—წერილი რედაქციისადმი.—რედაქციის პასუხი.

გვაქვს და მოხმარება არ ვიცით.

ჩვენი მონასტრები და ეკკლესიები მდიდრები იყვნენ და ზოგიერთები დღესაც მდიდრებია ჩვენ წინაპართაგან უხვად შეწირული მამულებით. ეს მამულები შეადგენდენ მათ ავლა-დიდებას და არსებით კეთილ-დღეობას. მმართვა და გამგეობა სამონასტრო- და საეკკლესიო მამულთა ჩვენს საქართველოში სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა ნაირი იყო და არის. იყო დრო, როდესაც ეკკლესიები და მონასტრები ისეთივე გამგებელნი იყვნენ თავიანთ ყმებისა და მამულებისა როგორც თავად აზნაურები თავიანთ ყმათა და მამულთა. მაგრამ ქვეყანაზედ ყველაფერი იცვლება, ყველას აქვს თავისი დრო. ერთ დროს ყველასაგან აღიარებული და მოწონებული წეს-წყობილება და ჩვეულება შემდეგ დროში ყველასაგან უარყოფილი ხდება. იყო დრო, როდესაც ბატონ-ყმობა ყველასაგან მოწონებული იყო და მრავალს ადგილას ყმებსაც კი ერჩივნათ უბატონოთ ცხოვრება. მაგრამ დღეს ეს ყველასაგან ერთ დროს მოწონებული და დამტკიცებული წეს-წყობილება, უარყოფილი, მოუხერხებელი და შეუძლებელი შეიქნა.

ჩვენში, კაი ხანია, მოისპო ბატონ-ყმობა საერო წოდებაში. საბოლოოდ განისაძღვრა მებატონეთა და ყმათა უფლებანი და ურთიერთ შორის დამოკიდებულებანი. დიდ ხანს არ გაუვლია საერო წოდებაში ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ, რომ კითხვა აღიძრა სასულიერო წოდებაში ბატონ-ყმობის მოსპობის შესახებაც, განიძრახეს ეკკლესიებისა და მონასტრებისგან ყმების და მამულების ჩამორთმევა. ეს კითხვა მალე დაბოლოვდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი საძნელო და რთული საქმის გარდაწყვეტა ძლიერ მოჩქარებით მოხდა. საერო წოდების მეუფროსენი და გამგებელნი ყოველივე ზომას ხმარობდნენ, რომ ეს საქმე მათდა სასარგებლოდ გათავებულიყო და მონასტრების და ეკკლესიების სარგებლობაზედ ბევრს არაფერს ზრუნავდნენ, თითქო ეკკლესია და სახელმწიფო სხვა-და-სხვა დაწესებულება იყოს...

ჩვენ დღეს არაფერს ვიტყვით ჩვენი ეკკლესიების მამულების გამგებელ-მმართველ ბლაღოჩინ-მღვდლებზედ, რომელნიც საეკკლესიო მამულებს მმართავდნენ და განაგებდნენ ისე, როგორც მათ ღმერთი აგონებდა. აღარც იმაზე ვიტყვით რასმეს, თუ რამდენად სასარგებლოდ დაურჩა ეკკლესიებს და მონასტრებს მათდამი კუთვნილი მამულების ჩამორთმევა. ჩვენ მხოლოდ აქ მოვიხსენებთ იმ ყოვლად შესანიშნავ და სუპატიო მოსაზრებას, რომელიც გამოიჩინა ამ საქმეში მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ მიტროპოლიტმა ისიდორემ საქართველოში ექსარხოსად მყოფობის დროს. მათი მეუფების დროს აღიძრა კითხვა ქართლის ეპარქიაში საეკკლესიო მამულების სახაზინო უწყებაში გადარიცხვის შესახებ. გარდაწყდა ფულის რაოდენობა, რომელიც კავკასიის მაშინდელმა მთავარ-მართებელმა შეაძლია ადგილობით სასულიერო მართებლობას საეკკლესიო მამულებში ყოველს წლობით. ამ ფულებზედ დათანხმდა მათი მეუფება, მაგრამ იმ პირობით-კი, რომ შემდეგისთვის საეკკლესიო ხაზინისთვის ის ფასი მიეცათ ამ საეკკლესიო მამულებში, რა ფასიც დაედებოდა ამ მამულებს შემდეგ დროში. აი სწორედ გონივრული შორს-გამჭვრეტელობა და ზრუნვა იმ წოდების შესახებ, რომლის გამგეთ ღვთის განგებულებას დაუნიშნავს კაცი. აიღეთ წინანდელი დაფასებულება საეკკლესიო მამულებისა, შეადარეთ ამ მამულების უწინდელი შემოსავალი დღევანდელს ფასს და შემოსავალს და თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩვენს ეკკლესიებს მაინც და მაინც ბევრი არა მოუგია რა თავისი მამულების სახაზინო უწყებაში გადაცემით.

ამ კითხვის შესახებ ჩვენ ბევრი ვსწერეთ ამას წინეთ ერთ რუსულ გაზეთში. ჩვენი საეკკლესიო მამულების ერთმა გამგებლად ყოფილმა დეკანოზმა აი რა პასუხი მოგვცა ჩვენ: «საჭირო იყო, რომ საეკკლესიო მამულები მალე მოგვეშორებია თავიდგან, რადგან ბევრი უმართლო მოდავენი აგვიტყდნენ და ეკკლესიებისადმი კუთვნილს ადგილ-მამულებს მოხერხებით გვართმევდნენ». წარმოიდგინეთ, რომ დღესაც კი გაისმის ამისთანა საყვედური, რადგან ჩვენს ეკკლესიებს და მონასტრებს დღესაც აქვსთ ცოტაოდენი მამულები. ასეთი თავის გამართლება, როგორც წინეთ, ისე დღესაც უსაფუძვლოთ მიგვაჩნია ჩვენ. მართალია, მრავალი უკანონო საჩივრები და დავაა ატეხილი საეკკლესიო მამულების შესახებ, მაგრამ ვინ არის ამაში დამნაშავე? დამნაშავენი არიან იგივე საეკკლესიო მამულების გამგებლად ყოფილნი პირნი და საეკკლესიო და მონასტრების მამულების ცნობაში მომყვანი კამიტეტის წევრნი. ამ პირთ ჰქონდათ მინდობილი, რომ ცნობაში მოეყვანათ ყველა საეკკლესიო და მონასტრების მამულები, მაგრამ ეს ცნობები ისე უგნურად და ცუდათ შეუდგენიათ მათ, რომ დავის დროს ვერაფერს ვერ ტყობილობს კაცი ამ ცნობებისაგან. აიღეთ, მაგალითად, რომელიმე ეკკლესია. ნათქვამია: ამ ეკკლესიას აქვს ერთი, ნახევარი ანუ მეოთხედი დესიატინა მიწა, სახელწოდებული ესე და ეს. მაგრამ ამასთან ხსენებული მამულის არც სიგრძე, არც სიგანე და არც საზღვრები ნაჩვენები არ არის. დღეს ერთად ერთი სახსარი დაგვრჩენია, რომ ყოველივე დავა მოისპოს საეკკლესიო და მონასტრებისადმი მიკუთვნილ ადგილების შესახებ კერძო პირთაგან. ეს საშუალება, ჩვენის აზრით, არის სამონასტრო და საეკკლესიო მამულების გამიჯვნა. სასულიერო მართებლობას დღემდისაც შეეძლო მოეთხოვა ამ ადგილების გამიჯვნა და დღეს ხომ რაღა უდგია წინ? მართალია, ეს გამიჯვნა ხარჯს მოითხოვს, მაგრამ მუდამ სამსაჯულოებში სიარულს და მუდამ უბრალო ხარჯს, სჯობია ერთხელვე დაიმტკიცოს ეკკლესიებმა და მონასტრებმა თავისი მამამულები იმ სახით, რომ შემდეგში ამ ადგილებზე დავის გამოცხადება ვერავინ გაბედოს. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენს ხალხს ჯერეთ კიდევ ძველებური სინდისი იჭერს, თორემ როდესაც ეს სინდისი მათში

შესამჩნევად დასუსტდება, ეკლესიებს და მონასტრებს ბევრი ადგილები დაეკარგებათ. მფლობელობის და კუთვნილების დასამტკიცებლად დღეს ერთად-ერთი ფიცია მიღებული, მაგრამ ყველამ იცის, თუ როგორ გახშირდა ჩვენს ხალხში ცრუ-ფიცი, განსაკუთრებით რუსული ფიცი, როგორც ხალხი უწოდებს. აქედგან ყველასათვის ცხადია, თუ რა სიკეთეს უნდა მოველოდეთ შემდეგში, როდესაც დავა ატყდება საეკლესიო მამულების შესახებ, რომლებისაც არც ზომა და არც საზღვრები არა სჩანს ეკლესიების საბუთებში...

დჯ. დ. დამბაშიძე.

მეცნიერების შესახებ.

(მეორე საუბარი).

ნეტარ არს კაცი, რომელმან შეიძინა სიბრძნე და მოიპოვა გონიერება. ამათი მოხვ-ჭა არის უმჯობეს ვეცხლის მოხვეჭისა და მოგება მათი— უმეტეს ოქროს მოგებისა. სიბრძნე უძვირეს არს ძვირფას თვლებზე, და კაცი იმის შესადარს ვერარას მოისურვებს.

სიბრძნეს მარჯვენა ხელში აქვს დღეგრძელობა, მარცხენაში კი სიმდიდრე და დიდება. გზა სიბრძნისა საამურია და კვალი მისი სამშვიდობო.

იგავნი სოლომონისნი.

(დასასრული *)

დიდი და საკეთილოა მეცნიერების გავლენა სარწმუნოებაზედაც, მეცნიერული განათლება სპობს ბნელ ცრუ-რწმენებს, მკითხაველებისა და ჯადოქრებისადმი საძაგელ ნდობას; მეცნიერული შეხედულება ანელებს სულმოკლეობას და ძულვებას, რითაც ასე საშინლათ იტანჯებოდა და იდევნებოდა საქრისტიანო ერი მოციქულების დროითგანვე. სამაჰმადიანოში რომ მეცნიერება შეწყნარებული ყოფილიყო, მაშინ იმდენი განსაცდელი და ფანატიკობა არ მოადგებოდა ჩვენს ქვეყანას. ამისათვის სარწმუნოებრივ ჭეშმარიტებათა განმფენებად არ უნდა ჩაითვალონ მარტო სასულიერო პირნი, არამედ ნამდვილი სწავლულებიცა, რომელნიც არა თუ იცვლევენ, თან განთქმენ ხალხში და ამდაბიურებენ სამეცნიერო ცოდნათა.

ხალხში ცოდნის გავრცელების საჭიროება თან-და-თან უფრო მწვავდება. რუსეთში რომ სამეცნიერო ცნობებით ყოფილიყო ხალხი აღჭურვილი, მაშინ შიდა გუბერნიებს ეს საშინელი დღე აღარ დაადგებოდათ. ჩვენს ქვეყანას კიდევ უფრო გათახსირება მოელის, ვიდრე ახლაა, თუ სამეცნიერო ცოდნა მალე არ გავრცელდა ხალხში. ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ რომ ეზრუნათ და ტეხნიკური სწავლა გაევრცელებინათ სატეხნიკო სკოლების დაარსებით, ეს ახალგაზდობა ასე აღარ გაირყვნებოდა, მუშაობას შეეჩვეოდა და ჩვენს ქვეყანას შერჩებოდა ციმბირის მოშენების მაგიერათ. ჩვენ ქართველთათვის უფრო, ვიდრე სხვა რომლისამე ერისთვის, განსაკუთრებით საჭიროა ჩვენი ყოფა-ცხოვრება დამყარდეს სწავლა-მეცნიერებაზე, რომელიც უნდა აღშენებულ იყოს ეროვნულ აღზრდაზე. ამგვარს წარმატებაზედ არის დამოკიდებული ჩვენი კეთილდღეობა და ჩვენი ეინაობის არსებობა

თვითეულმა ბუნების გამომეძიებელმა იცის, რომ შეუძლებელია ყოველმხრივი შესწავლა რომლისამე ბუნებითის მოვლინებისა, თუ არ იცი რამდენიმე და ეგებ ყველა მეცნიერებანი. ბუნების საიდუმლონი ხშირათ იქ ბუდობენ, სადაც არა გგონია. ბევრი საპატიო საკითხი არის ჯერ სრულიად ხელუხლებელი და გამოუკვლეველი იმ მასალების და იმ საგნების შესახებ, რომელთაც ჯერ ზერე-ქვერე ვიცნობთ და რომელთაც შემდგომში გავიცნობთ შეგნებულათ მეცნიერების შემწეობით. ამიტომ უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ცოდნა—გამოცდილობის გამრავლებისათანავე ცხოვრება თან-და-თან გაადვილდება საზოგადოდ და კეთილდღეობის პირობები განკარგდება. ამის გამო ჩვენი გონებითი ნიჭიერებანი ისე გაიმახვება, რომ შეგვეძლება უფრო ღრმათ ჩავუკვირდეთ ბუნების საიდუმლოებს და შევიტყოთ ისეთი უმაღლესი კანონები, რომელნიც ჯერ ჩვენთვის დაფარულნი არიან.

მაგრამ გონებითის და ნივთიერის მხრით მარტო არ გაისინჯება მეცნიერების კეთილგავლენა ჩვენზე. იგი აღამაღლებს და განამტკიცებს არა მხოლოდ პირთა ხასიათს, არამედ მთელის ერისას და მიგვაახლოებს იმ იდეალს, რომელიც მაცხოვარმა დაგვიყენა, როცა სთქვა: «იყავით სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეციერი». რაც უნდა ბრწყინვალე გარეგნულ საქმეს მისდევდეს, რაც უნდა გართობა-შექცევაში იყოს გონიერი კაცი, მას მაინც თავისაკენ იბირებს საღვთო სავანე მეცნიერებისა. რაც უნდა დიდის უბედურობით იყოს დაჩაგრული კაცი, მეცნიერების იდუმალი ხმა დასჩურჩულებს მას დამამშვიდებელ სიტყვებს. მის

*) იხ. «მწყემსი» № 8, 1892 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლებულ გონებას თანაზიარობა აქვს წარსულთა დროთა დიდებულ გარდაცვალებულებთან და უმსუბუქებს მას მძიმე ტვირთს დამამცირებელ დამოკიდებულებისას იმ უდიერ პირთაგან, რომელთანაც იგი შეკავშირებულია ცუდ გარემოებათა წყალობით. ეს წარმოდგენილება უებარი წამალია ცხოვრების ცვალებადობაში. როცა მეგობრებში მოსტყუვდე, გაიჩინე მეგობრად ის, ვისიც კანონი დამყარებულია სიყვარულზე. მეზობლებმა და თანამოძმეებმა გილალატეს? —დაუმეგობრდი მოციქულებს, წმიდა მოწამეთ; მოიგონე ბრძენი სოკრატი, გალილეი, გუსი, ჟორდანობრენო, რომელთაც მეცნიერებისთვის თავი დასდვეს.

სახელოვანმა ფარრარმა ერთი მჭევრმეტყველური სიტყვა წარმოსთქვა ინგლისის დიდ სავაჭრო ქალაქს ლიკერპულში შესვლის დროს შესახებ მეცნიერებისგან მოძღვნილ სიკეთისა. «ამ უშველებელ სავაჭრო ქალაქში, თქვა მან, სადაც თქვენ გარს გარტყიათ მეცნიერების და მექანიკის დიდებულ გამარჯვების ნიმუშები, თქვენ მემკვიდრენი ამა ქალაქისა, რომელიც გადაფენილია ისეთს მდინარეზე, სადაც ორთქლის გემებს ხეივანივით ძოჰყავს კაცი ამ სამაგალითო მოწვრილმანე ხალხის სასახლეში, თქვენ მეთქი კარგათ შეგიძლიათ გაითვალისწინოთ თუ, რა და რა შეენიერების და ხელოვნების ნიმუშები იფარება მეცნიერების შემმართებელ მოქმედებაში და რა საკეთილო ნაყოფი მოსდევს კაცობრიობისათვის მეცნიერების მიმდევარ ხალხსა. ბუნებას რომ გადუშლია ჩვენთვის ეს განუზომელი სივრცე და უთვალავი ქვეყნების ჯგუფები, მარტო იმისთვის კი არა, რომ ეუცქიროთ მათ გარეშეთ; მან ამასთანავე მისაწდომი გახადა ჩვენის გონებისთვის ცნობები დიდხნის წარსულთ საუკუნეთა, როცა აურაცხელნი კაცთა ტომნი ცხოვრებულან, ეინ იცის რა სიდაბლეზე მდგარნი; ბუნებამ მოგვცა ჩვენ საშუალება აღუჭურველ თვალისთვის უხილავთ სხეულთ გამოკვლევისა. ბუნება არის ჩვენი მფარველი ანგელოზი, რომელსაც კაცობრიობის სამსახურისთვის თავი დაუდეია. ბუნება და მეცნიერნი იმისთვის კი არ გარჯილან, რომ განადიდონ დიდრაჯობა დესპოტებისა და განაშვენონ მათი სასახლეები. არა, იგინი გარჯილან კაცობრიობის სასარგებლოთ, კაცთა ბედნიერობის დასამყარებლათ, რათა დაიცვას კაცი უზომო ჯაფისგან, შვება მისცეს მის ტანჯვას. იქ, სადაც წინა წლებში კაცები ეწეოდენ თვალის დამბრმავებელ ჯაფას, ნახევრად შიშვლები ანთებულს ბრძედებში ურევდენ გავარვალებულს გალხობილ რკინას,—იქ დღეს მეცნიერების წყალობით მოქმედობს უხილავი ჰაერი და მექანიკური მოწყობილობა. მეცნიერება ამუშავებს მზის სხივებს ჩვენთვის, რათა სინამდვილით გადმოგვცეს პირის სახის სურათი ჩვენთა საყვარელ კაცთა. მეცხიერებამ ასწავლა მოჯაფე მადნის მთხრელებს უშიშრად იმუშაოს დედამიწის მკერდში ასაფეთქნიეთიერების მახლობლათ. მეცნიერება სატკივართ დამაყუჩებელი საშუალობით უგრძნობლათ ხდის სნეულის ტანჯვებს, როცა დოსტაქრის გაწვრთნილი ხელი სჭრის და კერავს რომელსამე კუთ.ძარღვს მისის სხეულისას. მეცნიერება როდი გვიჩვენებს პირამიდებზე, რომელნიც აღუგიათ საუკუნეთა მიმდინარობაში უბედურ მონების მთელ თაობათა ოფლითა და სისხლით. არა, მეცნიერება მიგვითითებს ჩვენ კანდლებზე, ორთქლმავალებზე, ტელეგრაფის სვეტებზე, ტელეფონებზე, დურბინდებზე და ათასგვარ რთულ მანქანებზე, რომელიც უმოკლებს და უადვილებს შრომას არა თუ ადამიანს, პირუტყვსაც კი. მეცნიერება საზრდოს აძლევს ღონეგამოლეულს მიწის ნიადაგს. მეცნიერება ათასს შემთხვევაში ბრმას აძლევს მხედველობას, ყრუს—მსმენელობას; იგი ახანგრძლივებს ადამიანის მოკლე სიცოცხლეს, გვარიდებს ყოველ ნაბიჯზე შესახვედრს ხიფათს; იგი ათვინიერებს გადარეულთ ბორგვნილებას და ფეხთქვეშ გვიმორჩილებს ათასგვარ სენსა და სატკივარს... ენით არ ჩამოითვლება მეცნიერებისგან ჩვენდამო შემოძღვნილნი სიკეთენი, რომელნიც მოსაგონებლადაც არ ეღირება იმ სიკეთეებთან, რასაც მისგან უნდა მოველოდეთ. გული გიკვდება სიბრალულით და საზაროება გაშფოთებს,

როცა წარმოიდგენ ჩვენს პირველ-ყოფილ წინაპრებს, რომელნიც ცხოვრებდნენ, ყოველ ამ სიკეთეს მოკლებულნი, ნადირებივით. ყოველივე ეს საკმაოთ უნდა გვაჯერებდეს, თავგამომეტებით ვიზრუნოთ იმისთვის, რათა არც ერთი ჩვენი შვილი არ გაიზარდოს ისე, რომ არ გაეცნოს შეურყეველს მეცნიერების კანონებს, მისის განვითარების დღევანდელს ხარისხს. მეცნიერებათა შესწავლა ერთსა და იმავე დროს გონებასაც გვინათლებს, მახვილობას გვიფხიზლებს, ალხობს და მზა ფორმებად ჩამოასხამს ხოლმე თავისს ნამოქმედარს, ასაზრდოებს ჩვენს ჭკვას და ალავსებს მას სასარგებლო ცნობებით“.

ნეტავ იმ ერს, რომელსაც ამისთანა მაგალითები თვალწინ უდგას ცოდნის მოყვარეობის აღსაძვრელად და რომელსაც წყურვილის დაკმაყოფილებაც იქვე შეუძლია. თქვენ, ვიცი, ამას იტყვით: ეს ხომ იქ არის, ინგლისში და ამერიკაში, სადაც სახალხო უნივერსიტებიც კი იმდენია, რომ მსურველს ადვილად შეუძლია მეცნიერული განათლება მიიღოსო. მართალია. ჩვენში ამ ჟამად ამ წყურვილის დაკმაყოფილება მარტო რჩეულთათვის თუ შეიძლება, მაგრამ ისინიც ცხოვრებაში რომ გამოდიან, იმავე უმეცრებაში ვარდებიან, როგორშიაც არის უსწავლელი ხალხი. დროა ვიმეცადინოთ ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ იმ ღონისძიებით მაინც, რომელზედაც ხელი მიგვიწვდება. ეს ღონისძიება არის თავისთავათ სწავლა. კანონიერის მეცნიერულის განათლების საფუძვლათ უნდა შეირაცხოს შეძენა ელემენტარულ ცნობებისა ყოველ ხელმძღვანელ მეცნიერებათა. ეს მეცნიერებანი არიან კვარცხლბეკი სრულის და გამთავე შესწავლისა თვითეულის ცალცალკე მეცნიერების. თარგმნა და გადმოქართულება თვითეულის მეცნიერების გამდაბიურებულ სახელმძღვანელოებისა პირველ მოვალეობად უნდა დაიდვან იმ გამომცემელ ამხანაგობათა, რომელნიც დღეს ჩვენში დაარსდენ.

დაგვიანებული პასუხი.

წარსული წლის გაზეთ «ივერიის» მე-243 №-ში იყო დაბეჭდილი წერილი ქუთაისიდამ იმერეთის სამღვდელოების შარშანდელ კრების შესახებ ვიღაცა ბ. «მცანისა». ამ წერილის ავტორი ემდურის ზოგიერთ დეპუტატებს და ამბობს: «ერთი უსამართლოებაც შევამჩნიეთ ზოგიერთებს: შარშან ორ მასწავლებელს მოსამზადებელ კლასისას, კაი ხნის ნამსახურთ (გარეშე რვა-რვა თუმნის წლიურ ჯამაგირზე მომატებისა), სამღვდელოებისაგან არაფრით დაჯილდოვებულთ, მაშინ როდესაც სხვები ოროლ-სამ-სამჯერ არიან დასაჩუქრებულნი, მესამედი ჯამაგირი უთხოვნიათ. ამაზე ზოგიერთნი აღელვებულან და უარი უთქვამთ. მასწავლებელთ მიუმართავთ ყოვლად სამღვდელო გაბრიელისადმი, რომელიც ამ უსამართლოებით ძრიელ შეწუხებულა და დაუყონებლივ უბრძანებია დაკმაყოფილება მოთხოვნილებისა, რაცა კიდევაც შესრულებულა, მაგრამ ვაი იმისთანა მიღებას! დიდი შავი დღე დააყენეს ამ მასწავლებელთ უკანასკნელ კრებაზე ზოგიერთმა დეპუტატებმა. ვინაიდგან მაგ მასწავლებელთ, ბრძანეს დეპუტატებმა, ჩვენ წინაალმდეგ იმოქმედეს, ჩვენ ხომ მაგათთვის რვა თუმანი გვაქვს ნაჩუქარი, ის წავართოთ და ამით დავსაჯოთ და სხვაო»...

ნეტავი რა ნახა ბ. «მცანმა» სამღვდელოების ასეთ ქცევაში შესახებ ხსენებულ მასწავლებელთა უმართებულო და გასაკიცხი? ნუ თუ, მართლა, არაფრათ მიგაჩნიათ წლიურად რვა-რვა თუმნის მომატება? ბევრი საქველ-მოქმედო დაწესებულებანი გახლავთ ჩვენს პატარა საქართველოში და აბა ერთი მიგვითითეთ, თუ რომელი წოდება იღებს ესრედ უხვად ჯილდოებს უბრალო მომაკვდავთათვის კი არა, რჩეულთათვისაც? ის მასწავლებელნი თუ საჩუქარსა გვთხოვდნენ, როგორც თქვენ თვითონ ბრძანებთ, რაღას გვემდურებიან? საჩუქარი ხომ ნება-ყოფლობაზედ არის დამოკიდებული? ალბათ საბუთი გვქონდა, რომ უარი უთხარით, და თუ ჯილდოს თხოულობდნენ,

ეს ხომ უარესი? ჯილდოს თავის-თავად კი არ უნდა თხოულობდნენ, არამედ პირიქით უნდა აძლევდენ მათ; და თუ სასყიდელს თხოულობდენ რომელიმე შრომისათვის, ჯერ შრომა უნდა ეჩვენებინათ და მერმე სასყიდელი უნდა მიეღოთ. ყველა ამაებს რომ თავი დავანებოთ, ნუ თუ ბ. «მცანო», კარგათ არ მოგეხსენებათ, რომ თქვენგან დასახელებულნი მასწავლებელნი საკმაოდ უზრუნველ ყოფილნი გახლავრან ჯამაგირებით; ამის შემდეგ მათი საქციელი ხომ ანგარებას მიეწერება და ანგარება რამდენათ შესაწყნარებელია აღმზრდელ მასწავლებლებში, ეს ხომ თვით კარგათ მოგეხსენებათ და სამღვდელოებას რაღაში ამტყუნებთ? რაც შეეხება ზოგიერთების აღელვებას, თქვენგან განკიცხულს, ამაზედ იმას მოგახსენებთ, რომ ზნეობითი არა საკადრისი საქციელი იმისთანა პირებისა, რომლების ხელშიაც მოზარდი ყმაწვილების აღზრდა გახლავთ, ააღელვებს ყოველ პატიოსანს კაცს განურჩევლად, მღვდელი იქნება იგი, თუ ერი. არ აღელვდება მხოლოდ ის, ვინც საზოგადო საქმეს გრძნობით არ ეკიდება და ბოდბელივით თავის მიკროსკოპიული «მე»-ს მეტი არაფერი ახსოვს.

დასასრულ ყოველისა გულწრფელად მოგახსენებთ ბატონო მცანო: ოღონდ ნაყოფი რამ კეთილი გვაჩვენეთ და დაგვანახვეთ საპედაგოგო ასპარეზზე თქვენ და თქვენმა ზემორე აღნიშნულთა კოლლეგებმა, და უკანასკნელ ანაფორა რა არის, იმასაც კი გავყიდით თქვენთვის, თორემ სხვას სულ არაფერს არ დავიშურებთ, და უამისოთ კი ნუ დაგვედურებით. ჩვენ სარწმუნოება თვინიერ კეთილი საქმისა არა გვწამს და უნაყოფო ხე მოსაჭრელად არ გვენანება. მშვიდობით ნახვამდის დიდათ საცნობო «მცანო»!

დეკ. მღვ. ვ. ფ—ხაძე.

ანდრია პირველ-წოდებული.

ისტორიული პოემა.

(გაგრძელება *)

II

ახალ-გაზდა მზეჭაბუკი
შვენებაა ამ სოფლისა;
უფლის წული, დედის ერთა
ჩვენი სამცხის დედოფლისა.

დედის ძუძუთ გაზდილია;
ნანატრივით ბედნიერი!..
თავს ევლება დედოფალი
ჯ შეხარის მთელი ერი.

მათ სამთავროს სვე ჯ ბედი
იმის კალთა უბეშია!
დიდისა ჯ პატარასთვის
თანასწორი ნუგეშია!..

ყველა უყვარს!..ყველას უყვარს,
საზოგადო მოსიამე,
ლხინი არის სასახლეში
გაუსხლეტლათ დღე ჯ ღამე.

მაგრამ დღეს კი უჩვეულო
სხვა რაღაცა ანბავია:
ალარც როკვა, არც ლრეობა,
ალარც ტკბილ-ხმა საკრავია.

იმათ ნაცვლად გამოისმის
გოდება ჯ მოთქმა ზარი!
ოდას მეხი დასცეშია,
დამქცევი ჯ შემაზარი.

სასახლის წინ დედა წულით
მოუყრია თავი ერსა;
ჩამოწყვეტილ გულ-საკინძით
იგლეჯს თმას ჯ ულვაშ-წვერსა.

*) იხ. «მწყემსი» № 8.

გლოვის ნიშნად გულ-საზაროთ
აძახებენ საყვირ-ბუკსა
და ტირილით უკივიან,
უძახიან მზეჭაბუკსა.

მაგრამ მათი ეს გოდება
აღარ ესმის უფლის წულსა
უძრავად და უსულდგმულოდ,
შავ კუბოში ჩადებულსა.

თავს ადგია დედა მისი
გულ-ღია და თმა გაშლილი;
ჯერ კიდევ არ ემეტება
სასიკვდილოდ მისი შვილი.

ხან ეხვევა, ხან აკოცებს,
სათუთ სიტყვებს ეუბნება,
თვითქოს უნდა ხელმეორედ
მისი სულის ჩაბრუნება.

ეუბნება: «შვილო! შვილო!
ნუ ეძლევი ხანგრძლივ ძილსო!
შენებურათ გაუცინე
დედას შენზედ დაღრეჯილსო!

შენს ერთგულებს ხმა გაეცი,
უალერსე ჩვეულადო!..
გმართებს მათი მასპინძლობა?..
თავს გადგიან წვეულადო!..

მზე-ჭაბუკის გახარებამ
არ შეგშვენის ეგ ყოფაო!
რაც იხუმრე, კმარა, შვილო,
დედას ისიც ეყოფაო»!

ნაღვლიანი დედის სიტყვა
გულსაკლავად ესმის კრებულს,
მაგრამ რა ქნან, ვერ შველიან
ჭირისუფალს გამწარებულს.

მაშინ წარსდგა დედოფლის წინ
ქვრივი ვინმე კადნიერი
და უანბო ისეთი რამ,
რომ გაკვირდა მთელი ერი:

დედოფალო! ჩემს სახლში სდგას
ერთი ვინმე უცხო ტომი,
კაცის შვილის მოყვარული,
ყველასათვის კარგის მდომი.

ღმერთად ანბობს ვიღაც ქრისტეს.
აღიარებს მხოლოდ ერთსა
და იმის მეტს სულ არად ხდის
ქვეყნიერად არც ერთ ღმერთსა.

ტანვე დააქვს ფიცარი რამ
ქალია ზედ დახატული.
თვით ყოფილა მისი შვილი
მოწამე და მოციქული.

ანბობს: «მის ღმერთს ვინც იწამებს,
მადლით ნათელს მიათფენსო;
საუკუნო უკვდავებას
მისცემს მკვდრეთით აღადგენსო»!

გაცოცხლება მკვდრების ეგებ
მოწამემაც კი იცოდეს.
მიბრძანეთ და მე მოვიყვან,
თუ გსურსთ, რომ ის აქ მოვიდეს».

კაცის თავზედ თუ ტრიალებს
უკუღმართი ბედის წერა,
გინდ საეჭვოც რამე უთხრან,
სანუგეშოთ მაინც სჯერა.

ქვრივის სიტყვა იმ კრებაში
არავინ არ დაიჯერა,
მაგრამ დედას კი იმედმა
გული ტკბილათ აუძგერა,

და მკურნალის მოსაყვანად
მოციქულებს აფრენს თან ქვრივს,
აბარებს რა მასთან სიტყვებს
შესაბრალსა და დედობრივს.

აკაკი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

† ბლაღოჩინი დეკანოზი იოანნე აბაშიძე ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 10 ამა მაისის თთვეს. როგორც შევიტყეთ, გარდაცვალებულის დასაფლავება მოხდება ამ თთვის 16 რიცხვს. ყოველად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი ბაბრიელი უკვე წაბრძანდა საჩხერეში გარდაცვალებულის საწირავად და დამარხვაზედ დასასწრებლად. განსვენებულის ბიოგრაფიას შემდეგ №-ში დავბეჭდავთ.

***

ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდად წერილები შემდეგ პირთაგან:

1) მღვდლის ვასილ ხეკურიანისაგან:

«უმორჩილესად გთხოვთ, რომ თქვენი პატიეცემული გაზეთის «მწყემსი»-ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ შემდეგ პირთ, რომელთაც შემოსწირეს წარსულს წელს ჩემდამო რწმუნებულს ზედა-თეკლათის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიას შემდეგი ნივთები:

სახარბედიოს დედათა მონასტრის წინამძღვარმა ათანასიამ ერთი ხელი დაფარნა ხავერდისა ახალის ხელობისა, ღირ. ათ მანეთად. ბახვა ესაიას ძე გრიგოლიამ—ჯვარი ხის ფიცრისა დიდის ტანისა, რუსეთის ხელობისა ოქროს ვარაყით დახატულნი, იესო ქრისტეს სხვა-და-სხვა ხატებით, ღირებულნი 60 მანეთად.

2) მღვდლის ელევთერ ბარათაშვილისაგან:

«მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი გაზეთის «მწყემსი»-ს საშუალებით გულითადი მადლობა შეესწიროთ მე და ჩემდამო რწმუნებულმა მრევლმა ვაჭარს სპირიდონ მარკოზის ძეს აბესაძეს, რომელმაც შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულ შტატის ეკკლესიას შემდეგი ნივთები: 6 ხატი, ღირ—ლნი 30 მ.; 2 სასანთლე—20 მ,; ემბაზი—15 მ.; ჩამოსაკიდებელი სასანთლე—50 მ.: კანკელი—750 მ.; ერთი ფრაქის ხომლი—50 მ. ყველა ნივთები არიან 820 მანეთისა. იმედი გვაქვს, რომ ამ შემწირველის კეთილს მაგალითს წაბაძვენ სხვა ვაჭრებიც.

3) მღვდლის მ. ალექსი შარაბიძისაგან:

«მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ გულითადი მადლობა გამოვუცხადოთ მე და ჩემმა მრევლმა როსტომ ჯოხაძეს, რომელმაც ჩემდამო რწმუნებულს ეკკლესიას შემოსწირა ერთი დიდი შანდალი და ერთი ღვთის-მშობლის ხატი, ღირ—ნი 18 მანეთად».

4) მღვდლის გიორგი ლოსაბერიძისაგან:

«მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის პატიეცემულის გაზ. «მწყემსი»-ს საშუალებით მადლობა გამოუცხადო ქალაქს ზუგდიდში მცხოვრებს, მეორე გილდის ვაჭარს სპირიდონ მარკოზის ძეს აბესაძეს, რომელმაც შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულს ეკკლესიას მაცხოვრის ერთი ხატი მინაში ჩასმული და ეკკლესიის თავზედ დასადგმელი რკინის ჯვარი, ორივე ღირებულნი 25 მ.»

5) მღვდლის იოსებ თუქუშაშვილისაგან:

«მ. რ! თქვენი პატიეცემული გაზეთის «მწყემსი»-ს მე-6 №-ში დაბეჭდილია შემდეგი კითხვა: ერთი მთავარ-დიაკვანი მეორე ცოლის შერთვისათვის გამორიცხულ იქმნა სასულიერო წოდებისაგან და მიეწერა გლეხთა რიცხვს. შეიძლება თუ არა, რომ ამავე პირმა მედავითნის ალაგი დაიჭიროს იმავე ტაძარში, სადაც წინად მთავრად იყო და თუ შეიძლება, რამდენი წლის შემდეგ?» ეს კითხვა თქვენგან განმარტებული იყო, რომ არ შეიძლებაო. სიღნაღის მაზრაში მოიპოვებიან ასეთი ნამთავარ-დიაკვნები, რომელთაგანაც უსაფუძვლო სამდურავი მესმის, ვითომ მე აღმეძრას ეს კითხვა. რომ რაიმე უსიამოვნება არ მოხდეს ჩვენ შორის, გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენს პატიეცემულს «მწყემსში», რომ მე არ მეკუთვნის ხსენებული კითხვის აღძვრა».

---

*) ვამოწმებთ, რომ მამა იოსებ თუქუშაშვილს ჩვენთვის არ გამოუგზავნია ეს კითხვა განსამარტებლად.

რედაქტორი.

ქრისტიანე ადამიანი სხვა-და-სხვა ჭასაკის დროს.

(რუსულიდგან).

— ადამიანი და ქრისტიანე — ეკკლესიერში შეუთანხმებელი მტრები არ არიან ერთმანეთისა: თავისი საუკეთესო ლტოლვილებით ადამიანი ეკკლესიის ქრისტიანის თანაშემწეა, აგრეთვე ქრისტიანი წარმართთავს და აკითარებს ხოლმე ადამიანის ეკკლესიურ მოქმედებას. ამ ერთმანერთის ზედმოქმედებაში მიმდინარეობს მთელი სიცოცხლე ადამიანისა—დაბადებიდამ კიდრე სიკვდილადმდე. მაგრამ სხვა-და-სხვა ჭასაკის დროს ესრეთი ზედმოქმედება სხვა-და-სხვანაირად სწარმოებს: სხვა გვარია ეს ზედმოქმედება სიყმაწვილის, სიჭაბუკის, მამაკაცობის და მოხუცებულობის დროს. ქრისტიან ადამიანს ეკკლესიის სახეში უნდა ჰქონდეს სიფრთხილე და უაღრესობა თვითეული ამ ჭასაკისა; იგი უნდა აკითარებდეს ეკკლესიაც ადამიანურს და იმენდეს ქრისტიანულს; ცუდს ურჩს ჭეშმარიტებას და კეთილს ითვასებდეს. ადამიანი, მართალია, უზენაესის მფარველობის ქვეშეა, მაგრამ მაინც თვითონ მასზეა დამოკიდებული მისი ბედნიერების ასეთუ ისე წარმართვა, თვითონ მას ეკუთვნის მისი თავის მოკლა. კაცს შეუძლიან წარმართოს კარგათ ან ცუდათ არა მარტო საკუთარი თავისი ცხოვრება, არამედ თავისი თანამოძმეებისაც. კანაიდგან მთელი კაცობრიობა რაგორც ღვთის, ისე თვითონ ჩვენ ხელთ არის. ქრისტიანობა არა სჯობს ადამიანის თავისუფლებას, პირიქით იგი ეკკლესიაც ღონისძიებას ხმარობს, რომ კაცობრიობის სიცოცხლე წარმატების გზით მიმდინარეობდეს.

1. სიყმაწვილე.—ადამიანი არაფერისაგან კი არ იბადება, სულსა და სხეულს იგი თავის მშობლებისაგან იძენს. ქრისტიანობა მუდამ ზრუნავს ადამიანისათვის. ნამდვილი ქრისტიანე მშობლები შეილებს მათი კეთილდღეობისათვის ისეთ აღზრდას აძლევენ ხოლმე, რაგორსაც გეიგენებს ქრისტიანობა. სრულებით ერთი არ არის, უმაწვილის პირველად აღზრდა ოჯახში იქნება თუ ოჯახს გარეთ. გამოცდილება გეიგენებს, რომ მშობლების ნაკლულევანება და დიასება რაგორც ბუნებითი, ისე ზნეობითი მათ შეილებზედაც გადადის ხოლმე. თუ ოჯახს გარეთ ჩვენი შეილების აღზრდას მომეტებული გარეგნილობა მოსდევს, კინემ ოჯახში, მაშ ფრიად საეჭვო ეოფილა უმაწვილისათვის ოჯახში აღზრდა! ქრისტიანეთა დაქორწინება კეთილი დადგენილობაა მარტო მშობლებისათვის კი არა, არამედ მათი შვილებისათვისაც. დიდი ბედნიერებაა, რომ კაცს შობიდანვე დაჰყვეს კეთილი სული და ბუნება, სასიამოვნო ღვთისა და კაცის! ამ შემთხვევაში კაცი ადვილად მიახწევს ღვთისადმი! პირიქით დიდი უბედურებაა, რაცა შობიდამ ადამიანს გაეფუჭებული ბუნება დაჰყვება! ძლიერ ძნელია მისი გასწორება! დაიბადა უმაწვილი; ქვეყანაზე გამოჩნდა სულიერ-ხორციელი არსება, მექონე ღირსებისა, ანუ ნაკლულევანებისა. ქრისტიანობა—საიდუმლო ნათლის-ღებით მას ანთავისუფლებს ადამის ცოდვებისაგან, რომლებიც ახლად დაბადებულმა მშობლებისაგან მიიღო;—მირონცხებით ახლად დაბადებულის სულში სდებს საფუძველს მიმადლებული ცხოვრებისას. ამაების შემდეგ ახლად დაბადებული ხდება ხოლმე შვილად ღვთისა და წევრად რაგორც აქაურის, ისე ზეციურის სასუფეველისა. ქრისტიანული ცხოვრების თესლი ერთხელვე დანერგული ადამიანში, მუდამ ყამს უნდა მატულობდეს თანასმად ადამიანის ბუნების კანონებისა და იესო ქრისტეს შემწეობით.

მაგრამ შობილი ადამიანი—ქრისტიანე სად იშოვის დედამიწის ზურგზე ისეთ ბინას, სადაც მან ადვილათ შეიძლოს იმის განვითარება, რაც მასში პირველიდგანვე დანერგულა? კაცი მეტად სუსტია, განსაკუთრებით ბუნებით!

უმაწვილი ამისთანა ბინას ჭეშეებს მშობლებთან, ნათლიებთან, უმეტესად ქრისტიანეთა საზოგადოებაში. ამისათვის უმთავრესად მშობლებზეა დამოკიდებული მათი შვილების პირველი აღზრდა. ამ შემთხვევაში მშობლებს მონათესავეებიც შეეძლიან. ახლად შობილი ნათესავი ძალიან მახლობელია მათი. მასში სდუღს იმისთანავე სისხლი, რაგორიც მათში. ახლად შობილი სულითაც მახლობელია მათი. მისი პირველობა, რაგორც სხვისა, თვალთ უჩინო არსება კი არაა, ცხადი ყვავილებია, რომელშიაც მოთავსებულია ასეთი თუ ისეთი თვისებანი. ეს გვამოვნობათა სხვა-და-სხვაობა გადადის ხოლმე ოჯახის წევრზე, გვარეობაზე, ჩამომავლობაზე. ამ

სახით ბუნებითი თვისება და ზნეობითიც აიძულებს ყოველ კაცს იღვწოს ახლო ნათესავებისთვის: უკეთუ ვინმე თვისთა სახლეულის არა მოღვაწე იყოს, იტყვის მოციქული, არს იგი ურწმუნოსა უძვირეს (1 ტიმოთ. 5, 8); იგი ჭირსა ჭეშმარიტს ბუნების კანონებს, რომელთაც ბატიოსა-სცემენ ყველანი განურჩევლად. თუ ნათესავებს კაცი არ თანაუგრძნობს და საყოველთაო სიყვარულზე კი ქადაგებს,—მისი სიტყვები უმნიშვნელოა. თუმცა შენ ბატიოს არ დასდებ ადამიანის ცხოველ გრძნობათა, მაშ რაგორ შეგიძლია დაიჩემო, რომ შენ გქონდეს მაღალი ქრისტიანული გრძნობანი? იესო ქრისტე ზეციური მამის ძე იყო, მაგრამ მასში მისი დედის სიყვარულის გრძნობა არ გამქრალა მაშინაც კი, როდესაც იგი ჯვარზედ იყო გაკრული (იოან. 19, 26—27) პირველ ქრისტიანეთა დროს მშობლების მაგიერობას ხშირად ნათლიები სჩადიოდნენ ხოლმე. ქრისტიანობა და წარმართობა ორივე ერთმანერთის მახლობლათ იყვნენ. წარმართის ოჯახიდამ თუ კინმე ქრისტიანობის მიღებას მოისურვებდა, მაშინათვე ქრისტიანეთა საზოგადოების რომელიმე წევრი მიიღებდა მას თავის მზრუნველობის ქვეშ, ასწავლიდა ქრისტიანულის საწმუნოების ჭეშმარიტებას და აშნაირად ამზადებდა ხოლმე მას მოსანათლავად; მონათლის შემდეგაც ამისთანა სულიერი მამის მზრუნველობის ქვეშ რჩებოდა ხოლმე ახალი განათლული. ჩვენ დროში ნათლიები საქმეს უფრო ასრულებენ, მინემ მის ძალას, მისთვის რომ ბავშვი, იბადება რა ქრისტიანის ოჯახში, იგი იზრდება და სწავლობს საწმუნოების ჭეშმარიტებას მარტო მშობლების მეხებით. ამიტომაც მშობლებს ნათლიების გამორჩევის დროს და ნათლიებსაც თავისი მოვალეობის მიღების დროს არ უნდა ქონდესთ ძველი ჩვეულობა ნათლიებისა? მით უფრო, რომ მშობლების და მათი შვილების ბედის წერა არავინ არ იცის, თუ რაგორი იქნება; განსაკუთრებით მოხუცთა და ღარიბთა მშობლებისათვის დიდი რამ საჭირო საქმეა ნათლიების გამორჩევა. ამისთანა მშობლები უნდა ეოველთვის სტდილობდნენ, რომ თავის შვილებს რაგორმე მისთანა ნათლია ამოურჩიონ, რომელმაც თავისი კეთილი სათნოებით უპატრონოს მათ, რადესაც იგინი დაობლდებიან, ან გაღარიბდებიან. თავის მხრით ნათლიებსაც მტკიცედ უნდა ახსოვდეს თავისი მოვალეობა—რომ იგინი მეორეული ანგელოზები არიან მათი სულიერი შვილებისა. უკანასკნელთ უმაწვილი ეოველი ქრისტიანის საზოგადოებისთვის საუურადღებო არის. შობილი და მონათლული—ძმა არის მათი რაგორც კაცი და რაგორც ქრისტიანე. «თქვენ ყველა ერთ ხორც ხართ», იტყვის პავლე მოციქული ქრისტიანებზე, (1 კორინთ. 10, 17; 13, 27. გალატ. 3, 22). ეოველ ქრისტიან საზოგადოებაში არიან უშვილონი, რომლებსაც შეუძლიანთ მიიღონ სხვისი შვილი რაგორც საკუთარი; არიან მდიდრებიც, რომლების საუურაზე, მათი შვილების გვერდით, დატოვებულია ადგილი სხვისი შვილისათვისაც; არიან კეთილი ხალხნი, რომლებსაც ვალათ მიაჩნიათ ობლების შეწყნარება; არიან ნასწავლნიც, რომლებიც თავის ცოდნით ზნეობითად ეწევიან საწყლებს; არიან კიდევ ეკლესიის მწყემსნიც, რომლებისათვისაც კაცთა მოუვარეობა პირდაპირი მოვალეობაა. მაგრამ ამისთანა კერძო მოწყალება ობოლთა და ღარიბთათვის საკმაო არ არის; ესენი ცოტანი არ არიან საზოგადოებაში,—აღზრდის შრომა კი ისე ადვილი არ არის, რომ ეველას შეეძლოს მისი თავისთავზე მიღება! ამისათვის ქრისტიანეთა საზოგადოებაში არსდებიან ხოლმე «ყრმათა აღსაზრდელი ბინები», სადაც საზოგადოების ეველა წევრთ შეაქვსთ ხოლმე უკანასკნელი გროში თავის მცირე ძმათა სასარგებლოთ და სადაც ეს უკანასკნელნი პოულობენ ეველაფერს, რაგორც ხორციელის, ისე სულიერის წარმატებისათვის.

მღვ. ან. ჩაჩანიძე.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

კეთილ-წესიერება ტაძარში,

განსაკუთრებით ღვთის-მსახურების დროს.

საზოგადო ღვთის-მსახურება მართლ-მადიდებელი ეკკლესიისა ფრიად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ჩვენთვის. ერთის მხრით საზოგადო ღვთის-მსახურება თავის აღმასრულებელი პირების სახით და მოქმედებით გვიხატავს ჩვენ ძველი და ახალი აღთქმის ისტორიას და ქრისტიანეთა ცხოვრებაში მოხდენილს ზოგიერთ შემთხვევათა. მეორეს მხრით იგი გალობით, საღმრთო და საეკკლესიო წიგნების კითხვით, ლოცვით და მოძღვრებით აღამაღლებს ჩვენს სულს ცისადმი; აძლიერებს ჩვენს საკუთარს ლოცვა-ვედრებას და ამით ავიწყებს ჩვენს სულს ამა ქვეყნიურ მხიარულებათა, თუ კი ღვთის-მსახურება სრულდება რიგისამებრ, კეთილ წესიერებით. მაგრამ, სამწუხაროდ, საზოგადო ღვთის-მსახურება ხშირად სრულდება არა კეთილწესიერებით. თვითონ ტაძარს—სამლოცველო სახლს ზოგიერთები ხადიან ადგილად, სადაც ერთიერთმანეთს ხვდებიან, ებაასებიან და ერთობიან. ასე იყო უწინ და ესევე დღესაც. ქრისტემ ქვეყანაზე ცხოვრების დროს ორჯერ გამოაძევა მოვაჭრენი ტაძრიდგან და ჰრქვა მათ: წერილ არს სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს; ხოლო თქვენ გიყოფიეს იგი ქვაბ ავაზაკთა (მათ. 21, 13). წმ. პავლე მოციქულიც ასწავლიდა მორწმუნეთ, რომ მათ ტაძარში, განსაკუთრებით საზოგადო ღვთის-მსახურების დროს, დაეცვათ კეთილ-წესიერება (1 კორ. 14, 40), რათა სალოცავად შეკრებილთ არ შეეცდინათ ერთმანეთი, არამედ ცდილიყვნენ, რომ თავისი ლოცვა-ვედრებით და სიტყვებით აღეძრათ ღვთის-ვედრების სურვილი თავისი მოყვასის გულშიაც.

ამასვე უნდა ვასრულებდეთ ჩვენ დღესაც, თუ ჩვენი სულისათვის გვსურს კეთილი. ასეთი კეთილ-წესიერება უნდა დავიცვათ ჩვენ—მართლ-მადიდებლებმა, სხვა მორწმუნეთა შესახედავად როგორც ტაძარში, ისე ჩვენს ცხოვრებაში. მაშინ ურწმუნონი და არა მცოდნენი მართლ-მადიდებლობისა, მხილველნი ჩვენში კეთილ-წესიერებისა, დავარდებიან პირქვე და თაყვანსა სცემენ ჭეშმარიტს ღმერთს და ირწმუნებენ, რომ ჭეშმარიტად ჩვენთან არს ღმერთი.

რაში და რა სახით უნდა გამოვიჩინოთ ჩვენ კეთილ-წესიერება საერთო ღვთის-მსახურების დროს? როგორ უნდა ვიქცეოდეთ ჩვენ ყველანი ტაძარში სალოცავად შეკრების დროს?

რა არის ტაძარი?

ა) ტაძარი არის ადგილი, სადაც უმთავრესად არის უფალი.

როცა ქვეყნიური მეფე იმყოფება ჩვენს შორის, მაშინ ყველას იმაზე გვაქვს მიქცეული ჩვენი ყურადღება. აგრეთვე ტაძარში მყოფობის დროს ჩვენი სული უნდა ფიქრობდეს მხოლოდ ღმერთზე. ტაძარში შესვლის დროს ყოველი კაცი უნდა გაჩუმდეს და მიატოვოს ქვეყნიურ საგნებზე ზრუნვა.

ბ) ტაძარი არის სამკურნალო; სამკურნალოში თვითეული კაცი ფიქრობს მხოლოდ თავის ავად-მყოფობასა და მწუხარებაზე. ამიტომ უყურადღებობა, ყურის გდება, თუ ვინ სად დგას, როგორ ლოცულობს, რა აცვია და სხ. სრულებით უადგილოა ტაძარში.

გ) ტაძარი არის კეთილ-წესიერების სასწავლებელი. ხოლო სასწავლებელში სიჩუმე და ყურადღება უმთავრესი პირობანი არიან, თუ გვსურს შევიძინოთ სასარგებლო ცოდნა. ამიტომ ხმაურობა, ხველება, მცხიკვება, ლაპარაკი, ხმაურობით გავლა-გამოვლა ტაძარში შეურაცხჰყოფს წმ. ადგილს, შეაწუხებს შენს გვერდით მდგომარე მლოცველებს; იტაცებს მლოცველთა ყურადღებას; ხელს უშლის მოისმინონ მათ კითხვა, გალობა, ლოცვა და ქადაგება და ესევე საზარალოა თვითონ ტაძრის კეთილ-წესიერების დამარღვევლისათვის.

დ) ტაძარი არის სამსაჯულო. სამსაჯულოში თვითოეული ცდილობს ან გამართლდეს და ან შეიმსუბუქოს სასჯელი. აგრეთვე ტაძარშიაც თვითოეული ქრისტიანე კაცი უნდა ფიქრობდეს თავის სულზე.

I. მოვალეობანი მღვდლისა ტაძარში ღვთის-მსახურების შესრულების დროს.

ღვთის-მსახურების შესრულების დროს მწყემსმა ყოველი თავისი სულიერი და ხორციელი ძალ-ღონე უნდა იხმაროს, რომ მისი სამსახური იყოს სასარგებლო მლოცველთათვის, რომ ან მისმა ხმამ, ან შეხედვამ, ან მისი თავის დაუვარცხნელობამ, ან მისმა თავის მიხრა-მოხრამ, ანუ რაიმე მისმა მოძრაობამ ტაძარში, განსაკუთრებით ღვთის-მსახურების დროს, არ შეიყვანოს მლოცველი შეცდომაში.

ამიტომ კეთილწესიერი მწყემსნი ლოცვის დროს უნდა იქცეოდნენ შემდეგი სახით:

§ 1. მწყემსი არ უნდა ჩქარობდეს ღვთის-მსახურების დროს, ან ლოცვების კითხვის, ასამაღლებელთა წარმოთქმის და მიხრა-მოხრის დროს; მაგრამ არც ძალიან ნელა უნდა მოქმედებდეს, რომ არ დაღალოს მლოცველნი სიტყვების გაგრძელებით, ნელის კითხვით და გალობით საწიგნეზე და ასამაღლებელთა ნელის წარმოთქმით.

§ 2. ასამაღლებელნი უნდა წარმოსთქვან რაც შეიძლება გაგებით და ხმა მაღლა.

§ 3. როგორც ასამაღლებელთა წარმოთქმის ისე ლოცვების წაკითხვის დროს უნდა ერიდონ ერთხმოვანებას, რომელიც ცუდს შთაბეჭდილებას ახდენს მლოცველებზე.

§ 4. ასამაღლებლების და ლოცვების კითხვის დროს მღვდელმა ხმა უნდა შეუთანასწოროს მგალობლებს. ძლიერ სამწუხაროა, რომ აქამომდე ეკლესიურ გალობას ყურადღება არა ჰქონდა მიქცეული სკოლებში. კანონიერი და ზომიერი საეკლესიო გალობა საზოგადოდ ამაგრებს გულს, აძლიერებს ხმას; საეკლესიო გალობის შესწავლა იზიდავს კაცის გულს ეკლესიური ღვთის-მსახურებისადმი; საეკლესიო გალობის შეწყობილი ცოდნა აკეთილხმოვანებს მწყემსის მიერ წარმოთქმულ ასამაღლებელთ. მაგრამ ცუდი მოსასმენია მღვდლის გალობა, რომელიც არ ეთანხმება საზოგადოდ გალობის კილოს, ანუ მღვდლის ან მთავარ-დიაკვნის ხმა, რომელთაც გალობა არ იციან და გალობის დროს [illegible] კი უბრალოდ აყვებიან მგალობელთ.

§ 5. რაც შეეხება მოძრაობას, საჭიროა:

ა) მღვდელ-მოქმედი უნდა მოერიდოს საკურთხეველში ხშირად გავლა-გამოვლას და, თუ საჭირო იქნება გავლა, გაიაროს მხოლოდ მაშინ, როცა ჩამოფარებულია კრეტსაბმელი, ან მოხურულია სამეუფო კარები.

ბ) ღვთის ტრაპეზის წინ მღვდელი უნდა ერიდოს სხეულის და პირის სახის ხშირ მიხრა-მოხრას, რაიმე განკარგულების მოსახდენად. საკურთხეველში მოსამსახურენი მწყემსის თვალის ქნევით ანუ მისი ხელის ჩვენებით უნდა მიხვდნენ თავისი მოვალეობის აღსრულებას.

გ) კარებ გაღებულს, ანუ შუა ტაძარში დგომის დროს მწირველმა მღვდელმა სხვების თვალწინ არ უნდა დაივარცხნოს თმა, არამედ ყოველივე ეს უნდა მოიქმედოს მიფარებულს კუთხეში.

დ) მწყემსმა, როცა იგი ლოცვა-კურთხევას აძლევს მლოცველებს, უნდა გამოსახოს სრული ჯვარი და ამ დროს თითები უნდა ჰქონდეს დაწყობილი, როგორც რიგია. ლოცვა-კურთხევის გარდაცემის დროს აჩქარებას ტაძარში და თითების უმართებულოდ შეწყობას შეცდომაში შეჰყავს ბევრნი. აჩქარებით მხოლოდ რამდენიმე წამით შეგვიძლია შევამოკლოთ ღვთის-მსახურება, მაგრამ ცოდვას კი დიდს ჩავიდენთ ღვთის წინაშე.

§ 6. მწყემსმა მაგალითი უნდა უჩვენოს სხვებს მართებულად თითების შეწყობით როგორც პირჯვარის გამოსახვის დროს, ისე განსაკუთრებით როცა, ჯვარს ისახავს შუბლზე, გულზე მარჯვენა და მარცხენა მხარზე. მდაბიო ხალხი, რომელიც ასრულებს ეკლესიურ წესებს, გარეგანი ნიშნებით სჯის როგორც მღვდლის მოქმედებას, ისე მთელი წესდებისას. «მწყემსნო! ეკრძალენით უკვე თავთა თქვენთა და ყოველსავე სამწყსოსა, რომელსა ეგე თქვენ სულმან წმიდამან დაგადგინნა მოღვაწედ და მწყესად ეკკლესიისა უფლისა ღმრთისასა, რომელი მოიგო სისხლითა თვისითა, (საქ. მოც. 20—28); სახე ექმენ, მწყემსო, მორწმუნეთა მათ, სიტყვითა, სვლითა, სიყვარულითა, სულითა, სარწმუნოებითა, სიწმიდითა (1 ტიმ. 4, 12).

(შემდეგი იქნება).

დარიგება თვალების მოვლაზე.

(გაგრძელება *)

§ 24. ხელოვნურ გათენებაზე რომ გადავდიეართ, ყველაფერზედ უწინ უნდა ვსთქვათ, რომ ბინდ-ბუნდში ბეცადინეობა, როცა დღის სინათლე თან-და-თან ილევა, და ლამპრები ჯერ არ ანთებულა,—მეტათ მავნებელია თვალებისათვის: თვალები თვითონ მომუშავისათვის შეუნიშნავათ ილალებიან სულ უფრო და უფრო, რამდენადაც უფრო ჩასცქერებიხარ ცუდათ განათებულ საგანს.

§ 25. ხელოვნური განათება უნდა ბაძავდეს ბუნებას, დღის სინათლეს კი, როგორც ყველამ იცის, აქვს შემდეგი უმთავრესი თვისებები: 1) იგი არის ფრიად ცხადი; 2) იგი არის თანაბარი, ე. ი. არ პარპარობს, მაგ. როგორც სანთლისა; 3) მას არა აქვს სიფერადე; 4) დღისით გათენებით ჩვენ გვეძლევა, ესრეთ წოდებული, დაფანტული სინათლე; თვითონ სინათლის წყარო, მზე, ზევითგან დაგვყურებს და ჩვეულებრივ მოძრაობაში ჩვენის თვალებითგან მიფარებულია; ჩვენი თვალები სწორეთ ისეა მოწყობილი, რომ ზევითგან დაფარულია წარბების კარკალით და ზედა ქუთუთოთი მზის პირ-და-პირის ზედმოქმედებითგან.

ამ დღის სინათლის თვისებებისგან გამომდინარობს შემდეგი წესები ხელოვნურ განათების შესახებ:

§ 26. **უსათუოდ მავნებელია მეცადინეობა ცუდ ხელოვნურ განათებაზე.** მბჟუტავი ლამპრები, სანთლები და სხვ. ხმარებაში აღარ უნდა იყონ.

§ 27. სალამოის მეცადინეობაში უნდა გქონდეს საკეროსინე ლამპრები ცხად სინათლიანი, მაგ. ლამბრები მრავალ სამწვიანი და ორმაგ-საზიდიანი სილპერისა, კუმბერგისა, შტობვასერისა (ჰელიოსის), ბერლინის საგიგენო ლამპრით, კობიზევის ლამპრით (ოთხ-ბრტყელ სანათურიანი) და სხვ.

განსაკუთრებით უნდა იზრუნო კარგს ლამპარზე მოსწავლეებისათვის. ამისთანა ლამპრისთვის ხარჯს არ უნდა მოერიდოს თვითონ შედარებით ღარიბი სახლობა: შვილების საღი თვალები ერთი ასად გამოისყიდის ამ დანახარჯს.

§ 28. ხშირათ გაგვიგონია, რომ ვითომც კეროსინით განათება მავნებელი იყოს მეცადინეობაში, და რომ უმჯობესიაო სანთლებთან მუშაობა. ეს სრულიად ცრუ აზრია. სანთლის სინათლე ძლიერ სუსტია და გარდა ამისა თითქმის მუდამ ტოკავს; ამისთანა ბჟუტვას სინათლისას სრულიადაც ვერ ეწუობა თვალი და იმიტომ იგი ძლიერ ბღეზდება მისგან. თუ მაინც კიდევ სანთლებთან მუშაობა ვერ დაგიშლია, უნდა აიღო ისინი სამი, ოთხი და მათი ალი დახურო საერთო საფარებელით (აბაჟურით).

§ 29. თვალები უფრო მოსვენებით და წყნარათ არის მაშინ, როცა ლამპრის ალი მოფარებულია მათგან და როცა ცოტაოდნათ ზევითგან დაჰნათის. რამდენისამე წუთის განმავლობაში რომ დააცქერდე ლამპრის ალს, მაშინვე იგრძნობ, რომ თვალები აბრჭყვიალებულია კაშკაშ სინათლით. დაუხურავ სამწვეესთან თვალები მუდამ ბრჭყვიალობს ცეცხლის გავლენით, საგრძნობლებიანი (აპკიანი) მათი გარსი კი განუწყვეტლივ მეტის-მეტათ გაბღეზებულია და ამიტომ მალე ილალება.

§ 30. აქითგან ჩანს, რომ ლამპრის ალი უნდა **დახურული იყოს საფარებლით;** მაგრამ საფარებელი როგორი უნდა?

§ 31. აბაჟური არ უნდა იყოს მთლათ გაუმჭვირვალო, რადგანაც ამ შემთხვევაში თვალებზე მოქმედებს მკაცრი განსხვავებით კაშკაშათ განათებულ სტოლსა და მთლათ ბნელ საფარებელ შუა (სინათლის წინააღმდეგობანი შეადარე § 10) **ყველაზედ საუკეთესო და სასარგებლოა თავწოწოლა საფარებლები, ესრეთ წოდებული რძის ფერი მინისა.**

თუ, ძლიერ კაშკაშ ლამპარზე, ამისთანა საფარებელი მეტათ გამჭვირვალე გამოდგა, მას უნდა წაახურო მეორე საფარებელი, ერთის ფურცლის უბრალო საწერ ქაღალდისაგან გაკეთებული. ბურთის, ტულპანის და სხვაგვარი საფარებლები ფრიად გამოუდეგარი არიან მეცადინეობაში, რადგანაც ჩამოსაფარებელის დანიშნულებას, სინათლის ქვეითკენ დაშვებას ვერ ასრულებენ.

§ 32 **სამუშაო ლამპრის ჩამოსაფარებელი ისეს შემთხვევაში არ უნდა იყოს ფერადი** (წვანე, ლურჯი და სხვა). სწორეთ, აგრეთვე, საღი თვალების პატრონმა არ უნდა იმუშაოს წვრილ საგნებზე ფერად სათვალეს აფარებულმა.

§ 33. საკაბინეტო ლამპრებში ყველაზე უფრო სამარჯულოა იმისთანები, რომელშიაც ჩასასხმელის (რეზერუარის) მისი სამწვიანთ აწევ-დაწევა და ჭახრაკით (ვინტით) დამაგრება შეიძლებოდეს. კარგია

*) იხ. «მწყემსი»-ს № 8.

აგრეთვე მოძრავი ჩამოსაკიდი ლამპრები, რომელნიც საჭიროა სიკაშკაშისათვის უნდა ძირს დაიშვებოდენ: ერთ ან სამ მეოთხედ არშინზე სტოლიდგან.

III წერა-კითხვის დროს როგორ უნდა იჯდეს კაცი და როგორ უნდა ეკავოს თავი?

პირდაპირი დაჯდომა. მავნებლობა თავის დახრისაგან წერა-კითხვის დროს. სასკოლო ავეჯეულობა (мебель).

§ 34. მხედველობის დასაცვავად საკმარისი არ არის მარტო კარგი სინათლე: საჭიროა იზრუნო და მიაჩვიო თავის-თავი რიგიანათ ჯდომას მეცადინეობის დროს. ურიგო ჯდომა უთუოთ მიგაახლოებინებს თვალებს რვეულთან ან წიგნთან, და ასეთი მიახლოება, როგორც ზევით ახსნილია, ძლიერ მავნებელია თვალებისათვის. *)

§ 35 **თვალების და მთელის აგებულობის სიმრთელისათვის მიუცილებლათ საჭიროა გამართულად იყო და თავი სამუშაოზედ არ დახარო.** განსაკუთრებით მშობლებმა და მასწავლებლებმა გულსმოდგინეთ თვალი უნდა დაიკავონ ბავშვებზე ამ შემთხვევაში. რადგანაც ბავშვის აგებულება ჯერ გაუმაგრებელი და დაუსრულებელია, ამიტომ ბავშვის მოხრილი მდებარეობა მეცადინეობის დროს ბოლოს და ბოლოს ხირხიმალს უმრუდებს მას (მობლუნძულობა და სხ.) თავის დახრილობას მოზდევს მუდამი სისხლის შეჩერება თვალებში, შემდეგ კი თან-და-თან—ბეცობაც. ზოგიერთი ბავშვები მიდიან იქამდე, რომ კითხვასა და წერაში ნიკაპს აყრდნობენ სტოლზე,—ამაზედ უფრო მავნებელი მდებარეობა წარმოუდგენელია.

§ 36. რომ უფრო სიადვილით დაიკავო თავი გამართულათ, სასარგებლო არის წიგნი ანუ რვეული მოათავსო გეზათ (გორიზონტარულათ) კი არა, არამედ კუთხეს ქვეშ დაახლოვებით 14° გეზის სადებელისკენ. საუმჯობესოა, თუ სამუშაო სტოლი ისე მოწყობილია, რომ ამნაირათ დაფერდებულია თოთხმეტ გრადუსათ, როგორც ეს აქვს საკლასე სტოლებს.

§ 37. მეცადინეობის დროს აგრეთვე უნდა მოეთავსო ისე, რომ ორივე თვალი თანასწორ მანძილზედ დაშორებული იყოს წიგნიდგან, თუ რომ წიგნს მიუჯექი გვერდით და იკითხე ალმაცრივ, მაშინ ერთი თვალი დაიღალება მეორეზე უფრო. **ამასთანა ურიგო მდებარეობა ხშირ-ხშირის გამეორებით ადვილათ გამოიწვევს თვალის ელამობას.**

§ 38. წერის გაკვეთილების დროსაც მიუცილებლათ საჭიროა ყური უგდო, **რათა ბავშვებმა თავი არ დახარონ მარჯვნივ, ანუ მარცხნივ,** რასაც ისინი ხშირად ჩადიან კალმის მომარჯვების დროს. ამის გამოვე მავნებელია მეტად ირიბული წერა (ხელი), რომლისთვისაც ბავშვები უნებურათ თავს იხრიან გვერდზე: „ბავშვებს აბრუცანებენ იმისთვის, რომ ლამაზი ირიბული წერა ასწავლონ", სთქვა დოქტორმა ფარნერმა.

§ 39. სასკოლე სტოლები, რომლებთანაც მოსწავლეები რამდენისამე წლის მიმდინარეობაში ყოველ დღე ოთხ-ხუთ საათს ატარებენ, ერთობ დიდათ მოქმედობენ მათ ჯდომაზე, და, მაშასადამე, თვალებზედაც. ამ გავლენას დიდი ხანია ყურადღება მიაქციეს ყველა გამოჩენილმა ექიმებმა და მასწავლებლებმა, ათასი დაკვირვება მოახმარეს ამ საქმეს, და ამიტომ აშკარაა, რომ სასკოლე ავეჯეულობის შესახები კითხვა არა თუ მთლათ გადაწყვეტილია, სრულიად გონივრულათ, არამედ, პროფესორ ვებერის სიტყვით, «**უკეთესად გადაწყვეტა თითქმის აღარც კი შეიძლება**».—მრავალ გვარის გამოკვლევის და გაზომის მეოხებით, დღეს ამისათვის დადგენილია შემდეგი წესები:

«მოსწავლეები ხდებიან მობლუნძულები (დალრეკილები) და ბეცები მრუდის ჯდომისა გამო ცუდს ძველებურს სასკოლო ავეჯზე. ისინი სხედან მრუდეთ, თუ სკამი სტოლიდგან მეტათ დაშორებულია, მეტათ დაბალია სტოლის სიმაღლესთან შედარებით და თუ მას არა აქვს შესაბამისი საზურგე. ამიტომაც, **სასკოლო ავეჯი მხოლოდ მაშინ არ არის მავნებელი, როცა იგი უმაწვილს მეცადინეობის დროს გამართულათ აყენებს და აგრეთვე ამ მდგომარეობაში არჩენს მას ხანგრძლივათ და დაუღალავათ.**

ამის გულისთვის: 1) სკამის სიმაღლე იატაკიდგან ანუ საფეხურ ფიცრიდგან უნდა იყოს ბავშვის წვივის სიგრძე მუხლ-ქვეშეთის ფოსოდგან ფეხის გულამდე; 2) სკამის სიგანე უნდა ედრებოდეს თეძოს სიგრძეს მუხლის ქვეშეთი ფოსოთგანვე მოკიდებული ხირხიმლის ბოლომდე; 3) შემორგვალებული წინა კიდე

*) **ლოგინზე წოლის დროს კითხვა, მეტადრე ღამით, აგრეთვე ძალიან მავნებლად უნდა ჩაითვალოს; განათებაც ხომ ამ მდებარეობაში საკმარისი არ არის (უფრო ხშირათ ერთი სანთელი).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკამის უნდა შედიოდეს სამოდამ ხუთ სანტიმეტრზე (დიუიმი სტოლის შიგნი კიდეს ქვეშ); 4) დასაჯდომი უნდა იყოს ისე მაღალი, რომ ბავშვს შეეძლოს წერა, სტოლზე წინა მხრებ დადებით და ამ დროს იგი არ უნდა იძულებულ იყოს მხრები ასწიოს ანუ წინისკენ დახაროს თავი და გვერდი. 5) სკამის საზურგე უნდა იმყოფებოდეს უკანასკნელ წელის ძვის სისწვრივ (ესრეთ წოდებულის «უკანალის ზურგი»); 6) სტოლის ზედა პირი უნდა იყოს დაფერდებული 14° კუთხეს ქვეშ (ანუ გადახრილობა 1: 6).

მთელს გიმნაზიას, გამოანგარიშებისაებრ, მოსწავლეების სიმაღლე რომ ჩავთვალოთ 109—175 სანტიმეტრამდე და იმას ზევითაც (43—69 დიუიმამდე), უნდება სტოლები სულ 7 სხვა-და-სხვა ზომებისა (ყველაზე უფროსადა, სამარჯულო და იაფი არის კუნცას მოწყობილობის ავეჯი შესაწევ-გამოსაწევ ფიცრიანი.

§ 40. მოსწავლეებს, რომელთაც სიმაღლე $3^1/_2$ დიუიმზე მეტით არ განირჩევა ერთმანეთისგან, თამამათ შეუძლიათ მუშაობა ერთსა და იმავე სტოლთან. მაგრამ თუ მოსწავლეების სიმაღლე ერთმანეთისგან სხვავდება $4^1/_2$ დიუიმზე (11 სანტიმეტრზე) მეტით, მაშინ მათ უნდა იმუშავონ სხვა-და-სხვა სტოლებთან.

IV. ტკიცანი თვალების მოგლაზე.

(ბეცობა, ბეცობის სხვა-და-სხვა შესაფერი სათვალეები. მთელი ტანის სიმრთელის გავლენა თვალებზე. შორმხედველობა. მოხუცებულობის შორმხედველობა. თვალების ანთება. მათის ექიმობის მავნებლობა შინაური საშუალებით. ზოგიერთი თვალის ტკივილის გადამდებლობა).

§ 41. წინა თავებში განხილულია ის წესები, რაც მეცნიერებას გამოუკვლევია მხედველობის და თვალების სიმრთელის დაცვისათვის. ამ წესების აუსრულებლობას მიუცილებლად მოზდევს თვალების დახიანება: 1) თვალები თან-და-თან (თავდაპირველად შეუნიშნავად, ბეცდება; 2) თვალები ხდებიან სუსტნი, მალე ილალებიან მუშაობაში; ადვილათ დასისხლიანდებიან და ანთება მოსდისთ.

მაინც როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ თვალები ასე, თუ ისე დაგვიავადმყოფდა და დაგვისნეულდა?

§ 42. ბეცი თვალების პატრონმა კიდე უფრო სასტიკათ უნდა მისდიოს ზემო ნაჩვენებს რჩევებს.

§ 43. შემდეგ ბეცმა უთუოდ უნდა მოიპოვოს შესაფერი სათვალეები. ბევრს გონია, ვითომც სათვალების ტარება კიდევ უფრო აძლიერებდეს ბეცობას, —ეს შემცდარობაა. რიგზე შერჩეული სათვალები თვალებს იცავს ბეცობისა და ბრუტიანობისაგან. მაგრამ არაოდეს არ უნდა იყიდო სათვალები, საზოგადოდ, და განსაკუთრებით ბეცი ყმაწვილებისთვის, ექიმის ნებადაურთველათ და აურჩეველათ.

§ 44. ბეცებისთვის სხვა-და-სხვანაირი სათვალებია მიჩენილი, იმის მიხედვით, თუ რომელ ხარისხზე დგას ბეცობა. ამ ხარისხის გამოცნობა,—რა თქმა უნდა, ექიმის საქმეა. აქვე შეიძლება აღვნიშნოთ შემდეგი, ფრიად საჭირო, წესი: ბეცობისათვის სათვალეებს უფრო ხშირათ უნიშვნენ მხოლოდ შორს სახედველათ, რადგანაც ბეცებს შორს მხედველობა აკლიათ. ახლო მეცადინეობაში ბეცს სათვალე არ სჭირდება; მისთვის საჭიროა მხოლოდ, როგორც ზევით ნათქვამია, რაც შეიძლება, ყოველთვის მოშორებით დაიკავოს სახედავი საგანი. ზოგჯერ ექიმი ბეცს უნიშნავს სათვალეებს ახლო სამეცადინოთაც (საკითხავად და საწერად), მაგრამ ეს ათასში ერთხელ. საზოგადო დებულობა კი ესეთია: «თუ ბეკი უსათვალებოთ არჩევს ნაბეჭდს 12—14 დიუიმის მანძილზედ, მან სათვალე აღარ უნდა იხმაროს»; თუმც ვერ არჩევს, მაშინ ექიმის მეხედულობით, მას ენიშნება უფრო სუსტი სათვალები საახლოოთ.

§ 45. ზოგჯერ ბეცობა მიიღებს «წარმატებითს ხასიათს», ე. ი. ბეცობის ხარისხი თანდათან მატულობს და, ამისდა შესაბამისათ, მხედველობა სულ უარესდება და კლებულობს. არის შემთხვევები, როცა ამისთანა „წარმატებითი ბეცობა» თავისთავათ შეჩერდება ხოლმე, მაგრამ სამაგიეროთ იმისთანა შემთხვევებიც არის, როცა მას მოზდევს ულმობელი სიბრმავე.—ვისაც ამისთანა ბეცობა სჭირს, მან ყველაფერზედ უწინ ხელი უნდა აიღოს ხანგრძლივის ვადით ყოველგვარის თვალისთვის ახლო სახედავ მეცადინეობისაგან: ერთბაშათ არც უნდა იკითხოს და ერთი პწკარიც არ უნდა სწეროს რამდენისამე თვის განმავლობაში. შემდეგ ამისთანა ავადმყოფებმა უნდა იზრუნონ თავისის აგებულობის გამაგრებაზე კარგის საზრდოობით, გიმნასტიკით, სხეულის (ფიზიკური) მუშაობით, რომელიც თვალების დაძალვას არ თხოულობს (იხ. ქვევით) და საზოგადოდ უნდა იყოს ექიმის მხედველობას ქვეშ.

წერილი რედაქციისადმი.

მამაო რედაქტორო!

მე აღთქმა მივეცი ღმერთს, რომ ჩემი შვილი მომენათლა წმ. გიორგის ეკკლესიაში,—ჩემის თხოვნით ამა ეკკლესიის მღვდელმა კიდეც მონათლა. ბავშვის მონათლვის მოწმობა მომცა, რომ ახლად მონათლული ჩაეწერა ჩემი სოფლის მთავარანგელოსის ეკკლესიის მღვდელს. ეს იყო 8 ოქტომბერს 1886 წ. ჩემმა მღვდელმა მოწმობას ზედ მოაწერა: „15 ივლისს 1890 წელსა მივიღე მე მთავარანგელოსის ეკკლესიის მღვდელმა გ. გვ—ძმან. მრავალგზის ვსთხოვე ამ მღვდლებს, რომ ან ერთს ჩაეწერა ჩემი შვილი მეტრიკაში, ან მეორეს. ორივემ მიპასუხა: ვადა გადავიდაო. ამ სახით აქამომდე დამირჩა შვილი მეტრიკაში ჩაუწერელი.

გთხოვთ, ღვთის გულისათვის, აგვიხსნათ: 1) რომელს ამათგანს უნდა ჩაეწერა ჩემი შვილი მეტრიკაში?

2) ან რომელია მოვალე, რომ ეხლა მაინც ჩაწეროს?

3) გვასწავლეთ წამალი, თუ ამ გვარ შემთხვევაში როგორ მოვიქცეთ მშობლები?

ს. ი. რევია.

---

1) კანონი იყო მომნათვლელ მღვდელს ჩაეწერა ბავშვი მეტრიკაში. 2) დღეს, რადგან ორი სამი წელი გასულა მონათვლის შემდეგ და იმ წლის მეტრიკები სინოდალნი კანტორაშია გაგზავნილი, არც ერთს მღვდელს არ შეუძლია ამ მონათლულის ჩაწერა მეტრიკაში.

3) ყოველი მშობელი ვალდებულია, რომ სანამ სადილს და ქეიფობას ხელს მიჰყოფდენ, მანემდის ჩააწერინონ მღვდელს მეტრიკაში მონათლული ბავშვი და მეტრიკის გამოწერილობის პირიც მაშინვე გამოართვას მღვდელს. ესაა უებარი წამალი ყველა ამისთანა შემთხვევაში და ასე უნდა მოიქცნენ მშობლები, თუ უნდათ, რომ ბავშვი არ დაურჩესთ ჩაუწერელი მეტრიკაში. დღეს კი თხოვნა უნდა შეიტანოთ საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორაში და ითხოვოთ მეტრიკაში ჩაწერა მონათლული ბავშვისა. სინოდალნი კანტორა, სრული გამოძიების შემდეგ, მოახდენს განკარგულებას მონათლულის მეტრიკაში ჩაწერაზედ და მღვდელსაც ჯეროვანად გააფრთხილებს და წამალს მისცემს, რომ შემდეგ აღარ შეხვდეს ამისთანა შეცთომა.

რედაქტორი.

რედაქციის პასუხი.

მ. ბუ—ძე. თქვენი სურვილი წერის შესახებ სასიამოვნოა. ყოველი მღვდელი ვალდებულია იზრუნოს ეკკლესიის აშენებასა და გამშვენიერებაზე, იზრუნოს გალობის აღდგენაზედ და თავისი სიტყვა-ქადაგებით ხალხი მიაჩვიოს ეკკლესიაში სიარულს და წირვა-ლოცვის მოსმენას. ოთხი წელიწადი გადის, როგორც თქვენ იწერებით, რომ მღვდლად არის და ოთხ წელიწადში ეკკლესიის გეგმის შედგენას მონდომიან! აშენება როდისღა იქნება?! საეკკლესიო გალობა წინეთ უფრო იცოდნენ ხალხში, ვინემ დღეს... არა, უფრო მეტს მოველით, მეტს...

გ—ს გამს—იას. თქვენი წერილის მიზანი მხოლოდ ის არის, რომ ქება შეასხათ ბ. ს. ქავ—ძეს, ამიტომ ეს წერილი არ იბეჭდება...

დ. გიორ—ნს. სამწუხაროდ არც სათაურის გამოცვლით დაიბეჭდება თქვენი ლექსი.

ირაკლი ბაკურაძეს. მამა პასუხის მგებელია ღვთის-წინაშე შვილის ცუდი საქციელისთვის, თუ იმას შვილი ვერ აღუზრდია რიგიანად. სამოქალაქო კანონების წინაშე კი მამა შვილის ცუდი ყოფაქცევისათვის პასუხს არ აგებს, ნუ თუ მასწავლებლებმა ერთჯერ მაინც არ აგიხსნეს, არ განგიმარტეს, რომ არა თუ მღვდელს, არავის არა აქვს უფლება კაცის გალანძღვისა. სხვასაც რომ არ განემარტებინა ეს, ნუ თუ სახარებაში მაინც არ წაგიკითხავს, როგორი პასუხის მგებელია კაცი უბრალო შეუფერებელი სიტყვის თქმისათვის?...

მღვ. ს. ჩა—იას. ერთის ჭუჭყი ბევრს სვრის. უფრო კარგია, რომ ამისთანა შემთხვევაში მთავრობას განუცხადონ გა—ს წინააღმდეგი და ცუდი საქციელი, მაგრამ თქვენვე ამართლებთ ამ პირს მით, რომ მან საქმის შესრულებამდის არაფერი არ ითხოვაო.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою. Кутаисъ, 14 Мая 1892 г.*
Типографія редакціи(U. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ домѣ бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.